

თინათინ ქაროსანიძე

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

[t.karosanidze@freeuni.edu.ge](mailto:t.karosanidze@freeuni.edu.ge)

## კოვიდ-19 და ჯიჰადისტური ტერორისტული დაჯგუფებები: გამოწვევა თუ შესაძლებლობა?

### რეზიუმე

კოვიდ-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ თანამედროვე მსოფლიო შეცვალა. აუცილებელი ცვლილებების წინაშე ბევრი ორგანიზაცია აღმოჩნდა და ასევე ტერორისტული დაჯგუფებები და ტერორისტები. ისლამისტურმა დაჯგუფებებმა, როგორცაა ე.წ. ისლამური სახელმწიფო და ალ-კაიდა, ვირუსის გავრცელებას საკუთარი გამოცემების ცალკე ნომრებიც კი მიუძღვნა. ჯიჰადისტური დაჯგუფებები ამტკიცებდა, რომ ვირუსი ალაჰის იარაღი იყო, რითიც ღმერთი არამუსლიმებს მუსლიმთა ჩაგვრის გამო სჯიდა.

კოვიდ-19-ის გავრცელებასთან ერთად, ტერორისტული დაჯგუფებების ტაქტიკაც იცვლებოდა: დაჯგუფებები საკუთარ წევრებს მოუწოდებდნენ, ე.წ. “ვირუსის მიწაზე” ანუ ევროპაში მოგზაურობისგან და ტერაქტების ორგანიზებისგან დროებით თავი შეეკავებინათ, რათა თავი ვირუსისგან დაეცვათ. აქედან გამომდინარე, კოვიდ-19 ვირუსის გავრცელების დროიდან ევროპაში ტერაქტების რიცხვმა იკლო, თუმცა აფრიკასა და სამხრეთ აზიაში ტერაქტების რიცხვზე პანდემიას გავლენა არ მოუხდენია. პანდემიამდე ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაციები ყურადღების მისაპყრობად და ახალი წევრების მისაზიდად საჯარო სივრცეებს იყენებდნენ. შეზღუდვებმა და მოგზაურობის აკრძალვამ ეს პროცესი გაართულა და ტერორისტული დაჯგუფებები ახალი გამოწვევის წინაშე დააყენა. კოვიდმა ტერორისტებს მედიაც წაართვა: 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ პირველად მოხდა, რომ ახალ ამბებში ტერორიზმი ყველაზე ნაკლებად შუქდება და ჰედლაინები ძირითადად კოვიდს ეთმობა. თუმცა სხვა მოსაზრებით, პირიქით, შეზღუდვებმა ტერორისტული ორგანიზაციების სამოქმედო არეალში ახალი სივრცეები გააჩინა, რასაც ტერორისტების სოციალურ მედიაში გააქტიურებას უკავშირებენ.

ისმის კითხვა: კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია ჯიჰადისტური ტერორისტული დაჯგუფებებისთვის ახალი საფრთხე გახდება თუ ტერორისტებს სამოქმედოდ ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის?

**საკვანძო სიტყვები:** ტერორიზმი, პანდემია, კოვიდ-19, “ისლამური სახელმწიფო”, ალ-კაიდა.

2019 წლიდან კოვიდ-19 პანდემიამ მსოფლიოში ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი შეცვალა. ცვლილებები ყველა სფეროს შეეხო და მათ შორის - ტერორიზმსაც. ტერორისტული ორგანიზაციების მენეჯმენტი და ტაქტიკა ამ შემთხვევაში გამოწვევის არ აღმოჩნდა. 2021 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს საიუბილეო სხდომაზე, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის რეზოლუციის მიღებას მიემდგვნა, გაეროს კონტრტერორიზმის შეფი ვლადიმერ ვორონკოვი საზოგადოებას აფრთხილებდა, რომ ტერორისტული დაჯგუფებები კოვიდ-19-ით გამოწვეულ პანდემიას იყენებდნენ

და “რასობრივად, ეთნიკურად და პოლიტიკურად მოტივირებულ ექსტრემისტულ ჯგუფებს” აქტიურად მიმართავდნენ (Lederer 2021). მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდვები და საზღვრების ჩაკეტვა ტერორისტულ ორგანიზაციებს გადაადგილებას და ტერაქტების ორგანიზებას ურთულებდა, ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, პანდემია რამდენად შეუშლიდა ხელს ტერორისტულ ორგანიზაციებს ახალი წევრების და ფონდების მოზიდვაში. ვორონკოვი ასევე მიუთითებდა, რომ შესაძლებელი იყო, ტერორისტებს ფონდების მოსაზიდად კიბერსივრცე გამოეყენებინათ, რაც კიბერდანაშაულს გაზრდიდა (Voronkov 2020).

მსოფლიომ ისტორიის მანძილზე რამდენიმე პანდემია გადაიტანა. რთულია იმის განსაზღვრა თუ რა გავლენას ახდენდა ესა თუ ის პანდემია ტერორიზმზე ან ტერორისტების ტაქტიკაზე, რადგან ამის ამსახველი ან დამადასტურებელი პირდაპირი ემპირიული მონაცემები არ არსებობს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პანდემია ზოგადად ცვლის ადამიანის ქცევას, იწვევს სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებს, გავლენას ახდენს ინდივიდის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, სავარაუდოდ ასევე გავლენას მოახდენს ტერორისტების ქცევასა და იდეოლოგიაზე.

აღსანიშნავია, რომ ისტორიის განმავლობაში მსოფლიოში სხვადასხვა დროს გავრცელებული პანდემიების გავლენა ტერორიზმზე სათანადოდ არ გამოკვლეულა. ესპანური გრიპის ანუ ესპანკას დროს, 1918-1920 წლებში ამერიკაში ანარქისტებმა აფეთქებების სერია განახორციელეს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინააღმდეგ იყო მიმართული. მართალია, აფეთქებების ეს სერია დროში ესპანკას ემთხვევა, თუმცა რთულია მისი დაკავშირება პანდემიასთან (Dasgupta 2020, 7). ამის საპირისპიროდ, ტერორიზმზე ბუნებრივი კატასტროფების გავლენის მაგალითები უფრო მეტია. მაგ., შრი ლანკაში მოქმედმა “თამილის ვეფხვების” დაჯგუფებამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 2004 წლის ცუნამის შემდეგ ხელისუფლებასთან მორატორიუმი გააფორმა (Basit 2020, 264). ამავე კატასტროფის შედეგად, “თავისუფალი აჩეჰის მოძრაობამ” ინდონეზიის ხელისუფლებასთან ოცდაათწლიანი დაპირისპირების შემდეგ ურთიერთთავაგების მემორანდუმი გააფორმა.

პანდემიები სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხეს რომ წარმოადგენს, ამაზე აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის 2017 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაც მოწმობს, რომელშიც პანდემიები მთავარ საფრთხედაა აღიარებული. გაერო და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია მსოფლიოს პანდემიების საშიშროებაზე წლების განმავლობაში აფრთხილებდა (Pantucci 2020, 2).

კოვიდ-19 პანდემიის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გავლენა ტერორიზმზე კონფლიქტურ და არაკონფლიქტურ რეგიონებში ერთმანეთისგან განსხვავდება. კონფლიქტურ ზონებში მისი გავლენა იმის მიხედვით იცვლება, ადგილობრივი ხელისუფლება რომელ ქალაქებს აკონტროლებს და ნაკლები კონტროლის გამო ტერორისტები სად უფრო აქტიურობენ. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, არაკონფლიქტურ ზონებში ტერორისტების აქტიურობა შემცირდა მაშინ, როდესაც კონფლიქტურში უფრო გაიზარდა (Basit 2020, 264; The Straits Times 2020). 2020 წლის მონაცემებით ათი ქვეყნიდან ხუთი, რომელიც ტერორიზმის საშიზნე გახდა, ფართო კონფლიქტშია ჩართული (სირია, სომალი, ავღანეთი, იემენი, ნიგერია), მეორე ხუთეულს კი ის ქვეყნები შეადგენს, სადაც მცირემასშტაბიანი კონფლიქტებია (ფილიპინები, კონგო, ინდოეთი, პაკისტანი, ერაყი). ამ ქვეყნებში 2019 წელს ყველაზე მეტი ტერორისტული აქტი მოხდა (Global Terrorism Index 2020). (დანართი 1)

ე.წ. ისლამური სახელმწიფო აქტიურობისთვის სწორედ ასეთ კონფლიქტურ ზონებს იყენებს. პანდემიის პერიოდში ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ საკუთარი მოქმედების არეალი აფრიკის კონტინენტზე გადაიტანა და 2021 წლისთვის დაჯგუფება ნიგერის, ჩადის, მალის და ნიგერიის ნაწილებს აკონტროლებს. ჯერ კიდევ 2018 წელს დასავლეთ აფრიკის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი გადმოსცემდა, რომ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს დაცემის შემდეგ 6000 დასავლეთ აფრიკელი მებრძოლი, რომელიც დაჯგუფების რიგებში სირიასა და ერაყში იბრძოდა, სამშობლოში დაბრუნდა. ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ 2020 წლის 11 მარტიდან 17 მარტამდე ექვს ქვეყანაში განახორციელა ტერაქტები. ამ ექვსი ქვეყნიდან სამი სა-

ხელმწიფო კონფლიქტური ზონის ქვეყნებია (ნიგერია, სომალი, იემენი), დანარჩენი სამი კი ან მცირემასშტაბიანი კონფლიქტის ზომის ქვეყნებს ან სუსტ ქვეყნებს წარმოადგენს (ფილიპინები, ნიგერი, ეგვიპტე). 2020 წლის აპრილში ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ ერაყში მხოლოდ ერთ თვეში 100 ტერორისტული აქტი განახორციელა. როგორც ჩანს, კოვიდ-19 პანდემიას დაჯგუფებისთვის ხელი არ შეუშლია, საკუთარი ქმედებები ასეთ ქვეყნებში განხორციელებინა. დაჯგუფების უსასტიკესი ტერაქტი ავღანეთში 2020 წლის მაისში განხორციელდა, როდესაც ე.წ. ისლამური სახელმწიფოს წევრები ქაბულში სამშობიაროს თავს დაესხნენ. ამ თავდასხმას 16 ადამიანი (გვხმძიმე ქალები და ჩვილები) შეეწირა (Kruglanski, Gunaratna, Ellenberg, and Speckhard 2020, 121).

აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში აქტიურობით მხოლოდ ე.წ. ისლამური სახელმწიფო არ გამოირჩეოდა. სუსტ ქვეყნებში სხვა ჯიჰადისტური ექსტრემისტული დაჯგუფებები ასევე აქტიურად მოქმედებდნენ. მაგ., ალ-შაბაბის დაჯგუფებამ სომალისა და კენიაში 37 ტერაქტი განახორციელა; პანდემიის დროს ალ-კაიდასთან აფილირებული დაჯგუფებები ტერაქტებს სირიაში, მალისა და იემენში აწყობდნენ (Kruglanski, Gunaratna, Ellenberg, and Speckhard 2020, 121-122).

სუსტ სახელმწიფოებში, როგორცაა სირია, ავღანეთი, სომალი, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება კოვიდ-19 პანდემიით შექმნილი სიტუაციის გამკლავებასთან უუნარო აღმოჩნდა, ტერორისტები ცდილობენ, სხვადასხვა სერვისების მიწოდებით რისკის ქვეშ მყოფ მოსახლეობაში საკუთარ მომხრეთა რაოდენობა გაზარდონ. მაგ., ავღანეთში თალიბები მოსახლეობას სოციალური დისტანციის დაცვისკენ, ნიღბების ტარებისკენ და სანიტაიზერის გამოყენებისკენ მოუწოდებდნენ. თალიბები, ცნობიერების ამაღლების მიზნით, საინფორმაციო ბროშურებს არიგებდნენ და ჯანდაცვის სააგენტოებს თხოვდნენ, რომ მათ მიერ კონტროლირებად რაიონებში წამლები და სამედიცინო ეკიპირება გაეგზავნათ. თუმცაღა ამას არ შეუშლია თალიბებისთვის ხელი, რომ 2019 წელს ჯანდაცვის დაწესებულებებს თავს დასხმოდნენ. ამ თავდასხმებს 51 ადამიანი ემსხვერპლა, 142 - კი დაშავდა და შედეგად წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას ხელი შეეშალა, რომ თალიბების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე შესულიყვნენ. ჰეზბოლას ლიბანში მსგავს ღონისძიებებს ახორციელებდა და ჯანდაცვის სერვისებით იმ ზონებს უზრუნველყოფდა, სადაც სახელმწიფო სერვისები ვერ წვდებოდა. ჰეზბოლას დაჯგუფებამ 100 ამბულატორია განათავსა და 32 კოვიდსაწინააღმდეგო სამედიცინო ცენტრი შექმნა (Snapshot 2020).

ტერორისტული ორგანიზაციები ასეთი საქმიანობის გარდა, პანდემიისგან შექმნილი ახალი სიტუაციის შესაბამისად ადაპტირდებიან და საზოგადოების პოლარიზებას და სიმულვილის ენას, რაც ახალი პანდემიის პირობებში გახშირდა და უკიდურესი ფორმები შეიძინა, საკუთარი მიზნებისთვის კარგად იყენებენ. ტერორისტულმა დაჯგუფებებმა რეალური სივრციდან კიბერსივრცეში გადაინაცვლეს და შესაბამისად, სოციალური მედია და ახალი ტექნოლოგიები ახალი წევრების მოსაზიდად ძლიერი იარაღი გახდა. სწორედ აქედან გამომდინარე, ესტონეთის თავდაცვის მინისტრი იური ლუიკი აცხადებდა, რომ მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე იდგა, რაც კიბერ და ჰიბრიდულ საფრთხეებს განეკუთვნებოდა, რაც ახალ საშუალებებს დრონების სახით უკავშირდებოდა, რომელსაც ტერორისტები მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ გამოიყენებდნენ (Lederer 2021).

პანდემიის პერიოდში ინტერნეტის აქტიურმა გამოყენებამ ტერორისტებს ხელი შეუწყო ტექნოლოგიური განვითარებისთვის. დრონების გამოყენება ჯერ კიდევ 2016 წელს ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ დაიწყო, როდესაც დრონების გამოყენებით ჩრდ. სირიაში ფემ-მერგას ორი ჯარისკაცი ხელყუმბარით ააფეთქა. შედეგად, დაჯგუფებამ მუჟაჰედთა უპილოტო საფრენი აპარატი შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იყო დრონების განვითარებასა და გამოყენებაზე (Gibbons-Neff 2016). მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენება ხელს შეუწყობს ტერორისტებს, თავდასხმები დისტაციურად განახორციელონ და ამით კონტრტერორისტული ოპერაციები უფრო გაართულონ.

სკოლების ჩაკეტვამ და სწავლის ონლაინ რეჟიმმა სულ უფრო მეტი მოსწავლე მიაჯაჭვა ინტერნეტს. მონაცემების მიხედვით, კოვიდ-19 პანდემიის დაწყებიდან ინტერნეტის მოხმარება მსოფლიოში 50%-დან 70%-მდე გაიზარდა. შესაბამისად, ინტერნეტის მოხმარება მკვეთრად გაიზარდა. ინტერნეტის მოხმარების გაზრდამ ტერორისტებს საშუალება მისცა, სოციალური მედიის გამოყენებით მეტი ადამიანი მიემხრო. მათ სამიზნე აუდიტორიას 30 წლამდე ახალგაზრდები შეადგენდნენ. ინტერნეტისგვერც კონსპირაციული თეორიების (მაგ., 5G ანტენები კორონას ავრცელებს, კოვიდ-19 ჩინელებმა და ამერიკელებმა გაავრცელეს) სწრაფად გასავრცელებლად კარგი პლატფორმა გახდა, რამაც ხელი შეუწყო ტერორისტებს მეტი ადამიანის რეკრუტირებისთვის (Basit 2020, 266).

კიდევ ერთი საფრთხე, რომელზეც საუბრობენ პანდემიის პერიოდში, ტერორისტების გეგმებია, რომ ისინი ადრე დაგეგმილ და შემდგომ პანდემიის გამო გადადებულ ქმედებებს სწრაფად მიუბრუნდებიან. გაეროს ანგარიშებში აღწერილია ე.წ. ისლამური სახელმწიფოს მიზანი, რომ სოციალური მედიიდან რეალურ სივრცეში გადაინაცვლოს და მტრების წინააღმდეგ ძალადობის ახალი ტალღა აქტიურად დაიწყოს. მაგ., 2020 წლის ოქტომბერში ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ლიდერი აბუ ჰამზა ალ-ყურაბიში საკუთარ მომხრეებს მოუწოდებდა, ნაკლები დრო გაეტარებინათ სოციალურ მედიაში და საკუთარი ძალისხმევა ისეთი დიდი გავლენის თავდასხმებისკენ მიემართათ, როგორცაა ციხეებზე თავდასხმა ან სხვა ოპერატიული აქტიურობები.

კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა, როგორცაა სახელმწიფოების საზღვრების ჩაკეტვა, მიმოსვლის გაუქმება, სოციალური დისტანცია, ტერორისტული ორგანიზაციების ტაქტიკა თავისთავად შეცვალა გაართულა რა იარაღის თუ სხვადასხვა ამუნიციის საზღვარზე გადატანა. შესაბამისად, გაართულდა ტერორისტული აქტების კონკრეტულ ადგილზე განხორციელება. პანდემიამ ასევე გავლენა მოახდინა ტერორისტების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც, თუმცა ეს გავლენა სუიციდურ აქტებს ნაკლებად შეეხო, რადგან სუიციდს ნაკლებად ემინია, არ დაავადდეს და მოკვდეს ამ ახალი ვირუსით. სილკე აღნიშნავს, რომ კოვიდის გავლენით, მსოფლიოში საჯარო ადგილებში ტერაქტების რიცხვმა, რომელსაც წინასწარი მომზადება ჭირდება, მკვეთრად იკლო. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში პანდემიით გამოწვეული სოციალური დისტანციის გამო კრიმინალმაც იკლო, როგორცაა ძარცვა, ძალადობა, გაუპატიურება, მოტოციკლეტების გატაცება (Silke 2020).

Global Terrorism Index 2020-ის მონაცემების მიხედვით, 2019 წელს პირველად დაფიქსირდა 2014 წლის შემდეგ ტერაქტების შედეგად 1000 ადამიანზე ნაკლების გარდაცვალება, რაც ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს უკავშირდება (Reed 2021). როგორც ჩანს, ტერაქტების რაოდენობის კლება ერაყში დაჯგუფების მარცხს უკავშირდება. თუმცა ამ უკანასკნელის აქტიურობამ აფრიკის კონტინენტზე, კერძოდ კი სუბ-საჰარას აფრიკაში გადაინაცვლა (Deutsche Welle 2021).

ე.წ. ისლამური სახელმწიფო საკუთარი მედია-საშუალებებით დაჯგუფების წევრებს მოუწოდებდა, რომ ევროპაში მოგზაურობისგან თავი შეეკავებინათ და ვინც ევროპაში იყო, ეს რეგიონი დაეტოვებინათ. ორგანიზაციამ საკუთარ გაზეთში “ალ-ნაბა”, საკუთარი შეხედულება გამოაქვეყნა, რომელსაც ჰადისით ამყარებდა (“ან-ნაბა”, № 225) (Snapshot 2020). “ალ-ნაბა” არაბულენოვანი გაზეთია, რომელიც 2015-2018 წლებში გამოდიოდა და უშუალო აუდიტორიას სირიასა და ერაყში მცხოვრები მეზობლები წარმოადგენდნენ (Mahlouly, Winter 2018, 14). იმის მიუხედავად, რომ გაზეთი “ან-ნაბა” ონლაინ გამოდიოდა, მისი რამდენიმე ასეული ბეჭდური ვერსიაც გამოიცემოდა და ასე ვრცელდებოდა. გაზეთი “ან-ნაბა” პირველად 2010 წელს გამოჩნდა და ძირითადად დაჯგუფების განცხადებების და ახალი ამბების გავრცელების პლატფორმას წარმოადგენდა. 2011 წლიდან “ან-ნაბა” ყოველთვიური გამოცემა გახდა. დაჯგუფების რებრენდინგთან ერთად, გაზეთის შინაარსი და ფორმატი იცვლებოდა და საბოლოო სახით 2015 წელს ჩამოყალიბდა. 2015-2018 წლებში გაზეთის 135 ნომერი გამოიცა, თითოეული ნომრის გვერდების რაოდენობა კი 12-16 გვერდი იყო.

ცალკე მსჯელობის საკითხია ტერორისტული დაჯგუფებების დამოკიდებულება კოვიდ-19 ვირუსთან დაკავშირებით. ტერორისტულმა დაჯგუფებებმა კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია კარგად გამოიყენეს და ის საკუთარ ესქატოლოგიურ და ეთნო-ნაციონალისტურ ნარატივებში განავითარეს. ჯიჰადისტურმა დაჯგუფებებმა პანდემიის გავრცელების მიზეზების ასახსნელად ღვთიურ კანონს მიმართეს, მემარჯვენე რადიკალურმა დაჯგუფებებმა კი პანდემიას რასობრივი ახსნა მოუძებნეს.

ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ნარატივი ვირუსის გავრცელების გეოგრაფიული არეალის მიხედვით ვარირებდა. როდესაც კოვიდ-19-ის პირველი შემთხვევა ჩინეთის ქალაქ ვუჰანში გამოვლინდა, დაჯგუფების მესვეურებმა მას “კომუნისტური ჩინეთისთვის” უიღურების შეეწროვების გამო ღმერთის სასჯელი უწოდა; ირანში ვირუსის გავრცელება ღმერთის ბრალს დაუკავშირეს იმის გამო, რომ შიიტებმა ჭეშმარიტ გზას გადაუხვიეს და პოლიტიკებს დაემსგავსნენ (International Crisis Group 2020; Azman 2021, 108). ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი კოვიდ-19 პანდემიას სიონისტების ბიოლოგიური ტერორისტული თავდასხმის შედეგად თვლიდა. კოვიდ-19 პანდემიის ევროპაში გავრცელების შემდეგ, ე.წ. ისლამურმა სახელმწიფომ საკუთარ ჟურნალში “ალ-ნაბა” სტატიაც გამოქვეყნა, სადაც აღნიშნეს, რომ კოვიდ-19 “ჯვაროსნული ერებისთვის” სასჯელს წარმოადგენდა და შესაბამისად, ჭეშმარიტი მუსლიმები ამ ვირუსით არ ავადდებოდნენ. ამ პოზიციის დასამტკიცებლად მათ რამდენიმე სტატიაც კი მიუძღვნეს კოვიდ-19 ვირუსის კვლევას. აქედან გამომდინარე, ე.წ. ისლამური სახელმწიფო ცდილობდა ვირუსის ვიპონიზაციას, როგორც 2020 წლის მარტში ამის შესახებ გამოაცხადა და მომხრეებს მოუწოდა, რომ ამ ვირუსით მტრების წინააღმდეგ ებრძოლათ. ამის მიუხედავად, შეთავაზებას პრაქტიკული განვითარება არ მოყვლია (The Guardian 2021).

ე.წ. ისლამური სახელმწიფოსგან განსხვავებით, ალ-კაიდამ რჩევებისა და რეკომენდაციების ექსპერტიზა სტატიაც გამოაქვეყნა, სადაც ამტკიცებდა, რომ ეს ახალი ვირუსი მთელ მსოფლიოზე გავლენას ახდენს და მუსლიმურ სამყაროში ვირუსის გავრცელება სწორედ მუსლიმთა ცოდვების და მორალური კორუფციის ბრალი იყო. ალ-კაიდამ არამუსლიმი მეცნიერები მიიწვია, რათა შეზღუდვების პერიოდში ისლამი ეკვლიათ და ასევე გაეანალიზებინათ, როგორ დაამარცხა პანდემიამ მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილი ერები ბრძოლაში.

ალ-კაიდასთან აფილირებული ჰაიათ თაჰრირ ალ-შამის დაჯგუფებამ რამდენიმე ცნობარი გამოაქვეყნა, სადაც პანდემიით გამოწვეული სიკვდილის გლობალურ აფიშირებას კიცხავდა. დაჯგუფება თვლიდა, რომ პანდემიით გამოწვეული გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობა მკვეთრად განსხვავდებოდა სირიაში კონფლიქტის დროს დაღუპული ადამიანების რიცხვისგან.

თალიბების მოძრაობა ამტკიცებდა, რომ კოვიდ-19 პანდემია ღმერთის პასუხი იყო “კაცობრიობის ცოდვების” გამო. ისინი ბიზნესმენებს მოუწოდებდნენ, რომ ამ კრიზისის პერიოდში მათ მუსლიმს ძმებს დახმარებოდნენ.

მემარჯვენე ექსტრემისტული დაჯგუფებები კოვიდის გავრცელებაში მიგრანტებს, განსაკუთრებით კი ჩინელებს და ებრაელებს ადანაშაულებდნენ და მათ ევროპაში ვირუსის მთავარ შემომტანად თვლიდნენ. ამ ნარატივის შესაბამისად, ევროპულ ქვეყნებში საზღვრების დაკვების და ანტიმიგრაციული კანონების მიღებისკენ მოწოდებები გახშირდა (Summa 2020).

აკერმანი და პიტერსონი წერენ, რომ კოვიდ-19 პანდემია ახალი შესაძლებლობა გახდა ტერორისტებისთვის ახალ გარემოში საკუთარი საქმიანობის ადაპტირებისთვის. ისინი ათმაგალითს გვთავაზობენ ტერორისტული ორგანიზაციების ადაპტირებული საქმიანობის შესახებ, რომელთა შორისაა სოციალური აქტივიზმი (ლაშქარ-ე-ტაიბა, ჯაიშე მუჰამად), ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობის ამაღლება (ულტრამემარჯვენე დაჯგუფებები), სოციალური მედიაში საკუთარი ნარატივების გავრცელება და ახალი წევრების აქტიურად მოზიდვა (ე.წ. ისლამური სახელმწიფო), ადგილობრივი ხელისუფლებების კრიტიკა პანდემიის არასწორი მართვის გამო (Ackerman, Peterson 2020, 59-73).

ჯიჰადისტური ისლამისტური დაჯგუფებები სწრაფად ადაპტირდნენ კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში და სწრაფადვე შეცვალეს საკუთარი ტაქტიკა. ის მოლოდინები, რომ გადაადგილების შეზღუდვები ტერაქტებს მსოფლიოში შეამცირებდა, ბოლომდე არ გამართლდა. მართალია დასავლეთის სახელმწიფოებში, სადაც რეგულაციების დაცვის გამო კონტროლი უფრო გამკაცრდა, ტერაქტების რაოდენობამ იკლო, მაგრამ კონფლიქტის ზონის ქვეყნებში ტერორისტულმა დაჯგუფებებმა საკუთარი საქმიანობა უფრო გაააქტიურეს და აფრიკის თუ სამხრეთ აზიის ქვეყნებში ტერაქტების რიცხვი პანდემიის პერიოდში გაიზარდა (Noren 2020, 22).

ასევე აღსანიშნავია პანდემიის პერიოდში ჯიჰადისტური ისლამისტური დაჯგუფებების ინტერნეტსივრცეში გააქტიურება. სოციალური მედია პანდემიამდეც წარმოადგენდა ტერორისტული დაჯგუფებებისთვის ახალი წევრების მოზიდვის და საკუთარი იდეოლოგიის თუ მოწოდების გავრცელების საუკეთესო საშუალება იყო. თუმცა პანდემიის პერიოდში, როდესაც ინტერნეტის მოხმარება მკვეთრად გაიზარდა, ტერორისტული დაჯგუფებების აუდიტორიაც გაიზარდა და ორგანიზაციები წარმატებით ავრცელებდნენ საკუთარ ნარატივებს, რითიც კოვიდ-19 ვირუსის ვიპონიზაცია ხდებოდა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- Azman, Nur Aziemah. 2021. "The Islamic State (IS): Maintaining Resilience in a Post-Caliphate, Pandemic Environment." *Counter Terrorist Trends and Analyses*, Vol. 13, No. 1, Annual Threat Assessment (January 2021): 106-111.
- Ackerman, Gary, and Hayley Peterson. 2020. "Terrorism and COVID-19." *Perspective on Terrorism*, Vol. 14, No. 3 (June 2020): 59-73.
- Basit, Abdul. 2020. "COVID-19: A Challenge or Opportunity for Terrorist Groups?" *Journal of Policing, Intelligence and Counter-Terrorism*, Vol. 15, No. 3: 263-275.
- Dasgupta, Soumit, and R. Crunkhorn. 2020. "A history of Pandemics Through the Ages and the Human Cost." *The Physician* 6 (2) pre-print v1 e-Pub 29.05.2020. DOI: 10.38192/1.6.2.1
- Deutsche Welle, 2021. "Islamic State' Poses Growing Threat Across Africa." July 15, 2021. <https://www.dw.com/en/islamic-state-poses-growing-threat-across-africa/a-58281416> (accessed at 19/08/2021).
- Gibbons-Neff, Thomas. 2016. "ISIS Used an Armed Drone to Kill Two Kurdish Fighters and Wound French Troops, report says." *The Washington Post*, October 11, 2016. <https://www.washingtonpost.com/news/checkpoint/wp/2016/10/11/isis-used-an-armed-drone-to-kill-two-kurdish-fighters-and-wound-french-troops-report-says/> (accessed at 20/08/2021).
- International Crisis Group. 2020. "Contending with ISIS in The Time of Coronavirus." March 31, 2020. <http://crisisgroup.org/global/contending-isis-time-coronavirus> (accessed at 20/08/2021).
- Kruglanski, Arie W., Rohan Gunaratna, Molly Ellenberg, and Anne Speckhard. 2020. "Terrorism in Time of the Pandemic: Exploiting Mayhem." *Global Security: Health, Science and Policy*, Vol. 5, No. 1 (October 30, 2020): 121-132.
- Lederer, Edith M. 2021. "UN Official: Terrorists Using Pandemic to Stoke Extremism." *AP NEWS*, January 13, 2021. <https://apnews.com/article/race-and-ethnicity-coronavirus-pandemic-united-nations-terrorism-united-states-71fe8fc4b22317609d8d9c131c297582> (accessed at 21/08/2021).
- Mahlouly, Dounia, and Charlie Winter. 2018. *A Tale of Two Caliphates, Comparing The Islamic State's Internal and External Messaging Priorities*. VOX-Pol Publications, 2018.
- Noren, Tova C. 2020. "The Impact of COVID-19 on Salafi-Jihadi Terrorism." *Connections*, Vol. 19, No. 2 (Spring): 11-24.

- Pantucci, Raffaello. 2020. "Key Questions for Counter-terrorism Post-COVID-19." *Counter Terrorist Trends and Analyses*, Vol. 12, No. 3, International Centre for Political Violence and Terrorism Research (2020): 1-6.
- Reed, Alastair. 2021. "2020 Trends in Terrorism: ISIS Fragmentation to Lone-Actor Attacks." *United States Institute of Peace*, January 8, 2021. <https://www.usip.org/publications/2021/01/2020-trends-terrorism-isis-fragmentation-lone-actor-attacks> (accessed at 19/08/2021).
- Silke, Andrew. 2020. "COVID-19 and Terrorism: Assessing the Short- and Long-Term Impacts." *Pool Re SOLUTIONS*, Granfield University, May 5, 2020. <https://www.poolre.co.uk/wp-content/uploads/2020/05/COVID-19-and-Terrorism-report-V1.pdf> (accessed at 19/08/2021).
- Snapshot 2020. "How Extremist Groups are Responding to COVID-19." March 24, 2020. <https://www.peacemakersnetwork.org/wp-content/uploads/2020/03/TBI-EPU-Snapshot-COVID19-24032020.pdf> (accessed at 19/08/2021).
- Summa, G. 2020. "The Far-Right Assault on the Multilateral Order and the COVID-19 Pandemic." *London School of Economic*. <http://blogs.lse.ac.uk/mediase/2020/05/22/the-far-right-assault-oj-the-multilateral-world-and-the-covid-19-pandemic/> (accessed at 19/08/2021).
- The Guardian. 2021. "Islamic Extremists Panning 'Rash of Attacks' after Covid Curbs Lifted, says UN." February 2021. <https://www.theguardian.com/world/2021/feb/05/islamic-extremists-planning-rash-of-attacks-after-covid-curbs-lifted-says-un> (accessed at 19/08/2021).
- The Straits Times, 2020. "Coronavirus Lockdowns Limit ISIS Attacks in Many Nations: UN." August 25, 2020. <https://www.straitstimes.com/world/united-states/coronavirus-lockdowns-limit-isis-attacks-in-many-nations-un> (accessed at 20/08/2021).
- Voronkov, V. 2020. "Eleventh "Report of the Secretary-General on the Threat Posed by ISIL (Da'esh) to International Peace and Security and the Range of United Nations Efforts in Support Member States in Countering the Threat." *United Nations Office of Counter-Terrorism*, August 24, 2020. [https://www.un.org/counterterrorism/sites/www.un.org.counterterrorism/files/200824\\_sc\\_briefing\\_11th\\_isil\\_report\\_ousg\\_as\\_delivered.pdf](https://www.un.org/counterterrorism/sites/www.un.org.counterterrorism/files/200824_sc_briefing_11th_isil_report_ousg_as_delivered.pdf) (accessed at 20/08/2021).

დანართი 1

